<u>საექსპერტო შეფასება</u>

ანგარიშზე: „ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ, თამარ მეფის გამზირზე (ს.კ. 01.10.13.040.089), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები”

შპს „არქი რივერსაიდი“-ის ხელმძღვანელობის დაკვეთით, ჩვენს მიერ 2024 წლის მარტში გამოკვლეულია ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ, თამარ მეფის გამზირზე (ს.კ. 01.10.13.040.089), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის სამუშაოების შესრულების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ, თამარ მეფის გამზირზე (ს.კ. 01.10.13.040.089), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენ-პროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2018 წლის იანვარ-თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელები ინჟინერ-გეოლოგი მ. ყიფშიძე და მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი. მათ მიერ შესრულებულია საველე კვლევები, მოძიებულია საფონდო მასალები. გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევა ჩატარებულია განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ხოლო ძირითადი ქანებისთვის დრეკადობის მოდული განისაზღვრა – სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის კვლევით ლაბორატორიაში. მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით. დასკვანაში ასევე გამოყენებულია უშუალოდ საკვლევი უბნის ფარგლებში, აღნიშნული განყოფილების მიერ 2015 წლის მაისში ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, შპს „იბერკომპანი“-ს დაკვეთის საფუძველზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის (01.10.13.040.089), რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი..... 15 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. მიწერილობა ..... 1 გვ;
4. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები..... 2 გვ;
5. ძირითადი ქანების კვლევის შედეგები ..... 3 ფურც;
6. ტოპორუკა გამონამუშევრების დატანით..... 1 ფურც;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 4 ფურც;
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ..... 6 ფურც;
9. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები (არქივიდან)..... 3 გვ;
10. გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები (არქ)..... 12 გვ;
11. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები (არქ)..... 12 გვ;
12. წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები (არქ)..... 4 გვ;
13. გრუნტის სიმკვრივის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (არქ)..... 4 გვ;
14. გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (არქ)..... 4 გვ;

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც შედგება ერთი 37 მიწისზედა + 3 მიწისქვეშა სართულით შენობისა და ოთხსართულიანი საოფისე შენობისაგან. შენობების ტიპი: მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, დიაფრაგმებით, შევსება აგურით და ბლოკით. შენობები ერთმანეთისგან გამოყოფილია სადეფორმაციო და ანტისეისმური ნაკერებით. საძირკვლების სავარაუდო ტიპი ხიმინჯები. შენობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით IV.

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარ მეფის გამზირზე, აკადემქალაქის სამხრეთიდან მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089). სამშენებლო უბანი ისაზღვრება: – ჩრდილოეთიდან – აკადემქალაქისკენ თამარ მეფის გამზირიდან ამავალი საავტომობილო გზით; ჩრდილო-დასავლეთიდან – მათემატიკის ინსტიტუტის შენობის მიმდებარე ტერიტორიით; სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან – თამარ მეფის გამზირით; დასავლეთიდან – ფოთლოვანი ხეებით და ბუჩქნარით დაფარული ფერდით. უბანზე, წინა წლებში, სხვა დანიშნულების მშენებლობასთან დაკავშირებით, გათხრილი იყო ქვაბული, რომლის შემდეგ მშენებლობა აღარ განხორციელებულა. ამჟამად ქვაბული ამოვსებულია და რელიეფი მოსწორებულ-მოვაკებულია. თამარ მეფის ქუჩისკენ უბნის რელიეფი ეცემა ციცაბოდ და ფერდი

დაფარულია ფოთლოვანი და ბუჩქნარი მცენარეულობით. მიწის ზედაპირის ნიშნულები, გამოყოფილი უბნის ფარგლებში, მერყეობენ 426,0 მ-დან 432,0 მ-მდე. მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესაფასებლად დათვალიერებულია უბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. 2015 წლის მაისში ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, ამ კვლევის დროს გაიბურღა 5 ჭაბურღილი – №№ 1–5, სიღრმით – 28,0-35,0 მ, ასევე გეოლოგიურ ჭრილებზე გამოყენებულია 1987 წელს ჩატარებული გეოლოგიური კვლევის მასალებიდან ერთი ჭაბურღილი – №6. წინა წლებში ჩატარებული გეოლოგიური კვლევისას გაყვანილი ჭაბურღილები ნახაზებზე ნაჩვენებია პრიმებით. 2018 წელს ჩატარდა უბნის დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომლის დროსაც მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე დამატებით გაიბურღა 2 ჭაბურღილი – №6, სიღრმით 36,0 მ, №7 – 42,0 მ მთლიანი მოცულობით 78,0 გრძ. მეტრი. უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, საკონტროლო ანალიზებისთვის, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 19 ნიმუში (13 ნიმუში აღებულია თიხოვანი გრუნტებიდან და 6 ნიმუში ძირითადი ქანებიდან) და დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან, ხოლო გრუნტის წყლის საკონტროლო ქიმიური ანალიზებისთვის აღებულია 2 სინჯი, რომლებზეც ჩატარებულია შესაბამისი კვლევები. გეოლოგიური კვლევების პარალელურად ჩატარდა უბნის გეოფიზიკური კვლევა.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, სამშენებლო უბანზე გამოყოფილია გრუნტის შემდეგი ფენები:

1. **ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი – ნაყარი,** წარმოდგენილი თიხნარის, ღორღის, ხრეშის და იშვიათად სამშენებლო ნაგვის ნარევით; გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 0,50–3,50 მ-ის სიღრმემდე;
2. **ფენა 2 – სბე I – თიხა-თიხნარების მორიგეობა –** წარმოდგენილი ტბიური გენეზისის თიხოვანი გრუნტებით, ქვიშის, ქვიშნარის, თიხნარის და ხრეშ-კენჭნარის თხელი შუაშრეებიანი, რბილპლასტიკური (ფენა 2|) და ძნელპლასტიკური (ფენა 2) კონსისტენციების ღია ყავისფერი, მოყვითალო და მოლურჯო თიხა-თიხნარების მორიგეობით (I ტბიური ჰორიზონტი). უნდა აღინიშნოს, რომ ფენები 2 და 2| ერთი და იგივე გენეზისის და ლითოლოგიური ტიპისაა და გეოლოგიურ ჭრილებზე გამოყოფილია კონსისტენციის მიხედვით (რბილპლასტიკური – ფენა 2|, ძნელპლასტიკური – ფენა 2). გავრცელებულია ნაყარი გრუნტის ქვეშ, 0,50-3,50 მ-ის სიღრმიდან 10,70-19,70 მ-ის სიღრმემდე, გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:
   ფენა 2/-თვის
   - სიმკვრივე ρ=1.89 გ/სმ^3

- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=17°;
- ხვედრითი შეჭიდულობა C=0.19კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=110 კგძ/სმ^2;
- პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=2.1 კგძ/სმ^2;
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,35
- საგების კოეფიციენტი 2.0

ფენა 2-თვის

- სიმკვრივე ρ=1.93 გ/სმ^3
- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=20°;
- ხვედრითი შეჭიდულობა C=0.22კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=130 კგძ/სმ^2;
- პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=2.3 კგძ/სმ^2;
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,35
- საგების კოეფიციენტი 3.0

3. **ფენა 3 – სბე II – თიხა –** წარმოდგენილი ტბიური ნალექების ქვედა ჰორიზონტის ძირითადად ძნელპლასტიკური კონსისტენციის მუქი ლურჯი ფერის თიხები (ფენა 3) – II ტბიური ჰორიზონტი; გავრცელებულია 10,70–19,70 მ-ის სიღრმიდან 23,5–33,4 მ-ის სიღრმემდე,

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- სიმკვრივე ρ=1.95გ/სმ^3
- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=17°;
- ხვედრითი შეჭიდულობა C=0.48კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=170 კგძ/სმ^2;
- პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=3.2 კგძ/სმ^2;
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,42
- საგების კოეფიციენტი 4.0

4. **ფენა 4 – სბე III – მსხვილნატეხოვანი გრუნტი,** ყველა ჭაბურღილში, ფენა 2-ის გრუნტში 4,50–9,20 მ-ის სიღრმიდან 8,50–22,80 მ სიღრმემდე და №6| ჭაბურღილში ნაყარის შემდეგ, 2,60 მ-დან 3,80 მ სიღრმემდე, გავრცელებულია ასევე ტბიური ნალექები, წარმოდგენილი მსხვილნატეხოვანი გრუნტით, თიხოვანი გრუნტის არაკანონზომიერი (25-40%) შემავსებელით (ფენა 4). მსხვილნატეხოვან გრუნტში უპირატესი გავრცელებით სარგებლობს ღორღი, ზოგჯერ დამუშავების კვალით (უხეშად დამუშავებული), თუმცა ალაგ-ალაგ აღინიშნება კარგად დამუშავებული

(დამრგვალებული) კენჭების ჩანართებიც. ღორღოვან გრუნტში თიხოვანი შემავსებელის შემცველობა ცვალებადია (არაკანონზომიერია) და ძირითადად 25-40%-ის ფარგლებშია. ღორღოვანი გრუნტის მაქსიმალური სიმძლავრე აღინიშნა №7 ჭაბურღილში – 13,60 მ.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- სიმკვრივე ρ=1.95გ/სმ^3
- შინაგანი ხახუნის კუთხე φ=36°;
- ხვედრითი შეჭიდულობა C=0.10კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=500 კგძ/სმ^2;
- პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=4.5 კგძ/სმ^2;
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,27
- საგების კოეფიციენტი 8.0

5. **ფენა 5 – სგე IV – ძირითადი ქანებით – თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა.** ეროზიული ზედაპირიდან 30,60–36,70 მ სიღრმემდე (ეროზიული ზედაპირიდან 3,0–3,5 მ-ის ფარგლებში), ძირითადი ქანი გამოფიტულია (ნაპრალიანობა გამოხატულია დაშრევების სიბრტყის თანხვედრილი ნაპრალებით.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- სიმკვრივე ρ=2.30 გ/სმ^3
- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C = 9500კპა (95კგძ/სმ^2)
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,25
- საგების კოეფიციენტი 80

6. **ფენა 6 – სგე V – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანებით – თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა.** მახლობელი გაშიშვლებების მიხედვით ძირითადი ქანების წოლის ელემენტები შემდეგია: დაქანების აზიმუტი ჩდ 335-345^0, ფენების დახრის კუთხე 40–45^0.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- სიმკვრივე ρ=2.36გ/სმ^3
- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C = 12200კპა (122კგძ/სმ^2)
- დრეკადობის მოდული E=10444.9მპა
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,20
- საგების კოეფიციენტი 100

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ფენის დახასიათება, ასევე ფუძის ანგარიშისათვის აუცილებელი ყველა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო და ნორმატიული მნიშვნელობანი, მიღებული ლაბორატორიული მონაცემების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენებით. თამარ მეფის გამზირის მხარეს, უბნის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლის სიმაღლე 1,2 მ-ია, სიგანე 0,5 მ. საარქივო მასალების მიხედვით მისი ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან 1,0 მდეა.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ საკვლევი უბანი ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით. ჭაბურღილებში გრუნტის წყლი გამოვლინდა და დამყარდა 2,70-4,60 მ-ზე. გენეტიკურად წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების შედეგად ინფილტრირებულ წყალს. გრუნტის წყლის კვების დამატებითი წყაროა კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლები, რომელთა შემოდინება ხდება აკადემქალაქის ტერიტორიიდან. გრუნტის წყლის აწევის მაქსიმალურ (საპროგნოზო) დონედ მიღებული იქნეს +0,3 მ, დაფიქსირებულ დამყარების დონესთან შედარებით (410.8–424.4 აბს. ნიშნულები).

თბილისის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. უბანზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან II-III კატეგორიას. უბნის ფარგლებში, სეისმური თვისებების მიხედვით არახელსაყრელი გრუნტების ჯამური სიმძლავრე აჭარბებს 5,0 მ-ს და უბნის საანგარიშო სეისმურობა განისაზღვროს გრუნტული პირობების მიხედვით, მაღლივი შენობის სართულიანობასთან დამოკიდებულებაში.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”-ს მიხედვით უბნის უდიდესი ნაწილი დაბალი რისკის ზონაში, ხოლო მისი მცირე ნაწილი, მაღალი რისკის ზონაში იმყოფება. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის შესახებ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, ისეთი არახელსაყრელი მოვლენა, როგორიცაა მეწყერი, არ აღინიშნება, მეწყრული უბნის სიახლოვე (უბნის სამხრეთ–დასავლეთიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით ცირკის მოპირდაპირე ფერდზე, თამარ მეფის გამზირის გასწვრივ), არახელსაყრელი ფაქტორია ანალოგიური გრუნტებით აგებული და დამრეც ფერდზე განთავსებული სამშენებლო ტერიტორიისთვის. არახელსაყრელი ფაქტორებია, აგრეთვე

გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილში რბილპლასტიკური თიხოვანი გრუნტის (სეისმური თვისებების მიხედვით III კატეგორია) არსებობა. არახელსაყრელია უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობები – გრუნტის წყლის სარკე 2,7-4,6-ის ფარგლებშია და დამატებით სირთულეს განაპირობებს დასახული პროექტის რეალიზებისას (სარკის აწევის საპროგნოზო დონის გათვალისწინებით). უბნის სამხრეთ–დასავლეთი ნაწილი დაჭაობებულია, რაც განპირობებულია ატმოსფერული და ტექნოგენური წყლების დაგროვებით. ამდენად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული). ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს: უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, დასაპროექტებელი მაღლივი შენობისთვის ფუძე–გრუნტად გამოყენებული უნდა იქნეს VI სგე-ს (ფენა 6) გრუნტი. დაფუძნებისთვის საძირკვლის ვარიანტად გამყენებული იქნება ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯები. ოთხსართულიანი საოფისე შენობა შეიძლება დაფუძნებული იქნეს V–VI სგე-ს გრუნტებზე. ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯებით ან III სგე-ს თიხოვან გრუნტზე (ფენა 3) დაკიდული ხიმინჯებით. დასახული პროექტის (3 მიწისქვეშა სართული) რეალიზება შესაძლებელი იქნება ღრმა ქვაბულის ამოღების პირობებში, შესაბამისი პროექტის საფუძველზე. ღრმა ქვაბულის ამოღება უნდა შესრულდეს პერიმეტრის წინმსწრები ხიმინჯოვანი გამაგრების პირობებში (საყრდენი ან დაკიდული ხიმინჯების გამოყენებით III ან V სგე-ს გრუნტებში შესვლით). სარდაფის მოწყობისას გათვალისწინდეს გრუნტის წყლის დონე (აწევის საპროგნოზო დონის +0,3-ის გათვალისწინებით). დასახული პროექტის რეალიზება შესაძლებელი იქნება შესაბამისი წყალდაცვითი ღონისძიებების განხორციელებისას, მიწისქვეშა სართულებში წყლის შეღწევისგან დასაცავად (მიწისქვეშა სათავსების წყალგაუმტარი ბეტონით მოწყობა ან რგოლური დრენაჟი). ქვაბულის ამოღებისას საჭირო იქნება წყალქცევითი სამუშაოების (ამოტუმბვა) ჩატარება. წყლის მოდენი ქვაბულის ყოველ $მ^2$-დან (ან სადრენაჟო თხრილის გრძივი მ-დან) მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ. გრუნტის წყლის სულფატური აგრესიულობის გამო, საძირკვლის მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს სულფატომედეგი ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები (რეკომენდებულია წყლის სინჯების ქიმიური ანალიზების დასკვნაში). ხიმინჯების მოსაწყობად გაყვანილი ჭაბურღილები მიღებული იქნეს ინჟინერ-გეოლოგის მონაწილეობით.

დასკვნა

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ, თამარ მეფის გამზირზე (ს.კ. 01.10.13.040.089), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლო-

ბისთვის, რომელიც შედგება ერთი 37 მიწისზედა + 3 მიწისქვეშა სართულით შენობისა და ოთხსართულიანი საოფისე შენობისაგან, გამოყოფილ უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მშენებლობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი: /ია მშვიდობაძე/

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	**გამოქვეყნებული მაქვს 25 სამეცნიერო შრომა, მეთოდური მითითება და სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა.**საექსპერტო შეფასება ანგარიშზე:** "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020.**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2022 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის სადგურების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბო სადგურების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი. ალებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით".**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

შპს "რეალექსპერტი"
მის: თბილისი, ათონელის ქ. N23
ტელ: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
ელ ფოსტა: realekspert2015@gmail.com



LTD "REALEXPERT"
ATONELI str.23,TBILISI, GEORGIA
TEL: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
Email: realekspert2015@gmail.com

ქ.თბილისი

09/06/2022 წელი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ია მშვიდობაძეს პ/ნ 01024023058 მასზედ, რომ იგი, 2019 წლის აპრილიდან ნამდვილად მუშაობს შპს ,,რეალექსპერტი"-ში (ს/კ 404470434), საინჟინრო გეოლოგიური სფეროს, ინსპექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შპს ,,რეალექსპერტის"

ინსპექტირების ორგანოს დირექტორი: /კახაბერ ვარძიელი/



მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board ბ 04 06 №5
(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан

в том, что он в 19 79 году поступил в

и в 19 84 году окончил по курсу

по специальности

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г.

присвоена квалификация инженера

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П. Город 19 84 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Госзнака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<

დაკვეთა 13/2018

ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, აკადემიკალაძის მიმდებარედ, თამარ მეფის გამზირზე (ს/კ 01.10.13.040.089), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი ზ. კვაჭანტირაძე

ქ. თბილისი 2018 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I ტექსტური ნაწილი

1. ტექნიკური დავალება ---------- 1
2. მიწერილობა ---------- 2
3. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა ---------- 3 - 17

II ტექსტური ნაწილის დანართები
(ლაბორატორია)

4. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ---------- 18 – 19
5. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები 20
6. წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა ---------- 21 – 23
7. ძირითადი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევი შედეგები --------- 4 ფ.

(2015 წლის საარქივო მასალა)

8. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები ---------- 3 ფ.
9. გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები ---------- 12 ფ.
10. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ----------12 ფ.
11. წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა ---------- 4 ფ.
12. დანართი №1 - გრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ^3) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (ფენა 2) ---------- 3 ფ.
13. დანართი №2 - გრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ^3) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (ფენა 3) ---------- 3 ფ
14. დანართი №3 - გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების (φ0 და c კპა) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (ფენა 2) ---------- 5 ფ.
15. დანართი №4 - გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების (φ0 და c კპა) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (ფენა 3) ---------- 5 ფ.

III გრაფიკული მასალა

16. უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში,
ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით ---------- ფ.1
17. ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები ---------- ფ. 2 – 5
18. უბნის გეოლოგიური ჭრილები---------- ფ. 6 – 11
19. პირობითი აღნიშვნები ---------- ფ. 12

ტექნიკური დავალება

დამატებით საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალფუნქციური კომპლექსი.

დამკვეთი – შპს „არქი რივერსაიდი“

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, თამარ მეფის გამზირი, აკადემქალაქის მიმდებარედ. (საკადასტრო კოდი № 01.10.13.040.089)

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

მშენებლობის ტიპი – ახალი.

შენობის პირობითი ნიშნული: - 0,00 = 429მ;
საძირკვლის ფილა-როსტვერკის ძირის ნიშნული (საორიენტაციო) - 418მ;

ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის ადგილმდებარეობიდან და არქიტექტურულ-გეგმარებითი პარამეტრებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანზე საჭიროა დამატებით გაიბურღოს ჭაბურღილები ძირითად ქანებამდე, მათში შესვლით არანაკლებ 4-6მ-ის სიღრმეზე. ძირითადი ქანის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ და ბუნებრივ მდგომარეობაში განსაზღვრული უნდა იქნას ლაბორატორიული კვლევების მიხედვით.

მრავალფუნქციური კომპლექსი მოიცავს მაღლივ შენობას და ოთხ სართულიან საოფისე შენობას სამი მიწისქვეშა სართულით. მაღლივი შენობა შედგება 37 მიწისზედა სართულისა და სამი მიწისქვეშა სართულისაგან, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია ავტოსადგომებისათვის. საოფისე შენობა მაღლივი შენობისაგან გამოყოფილია სადეფორმაციო და ანტისეისმური ნაკერებით.

კომპლექსში შემავალი შენობების ტიპი: მონოლითური რკ.ბ-ის კარკასი დიაფრაგმებით.

მრავალფუნქციური კომპლექსის მაღლივი შენობის საძირკვლების ტიპი შეირჩევა სამშენებლო ტერიტორიის საბოლოო საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით (სავარაუდოდ ხიმინჯოვანი).

საორიენტაციო დატვირთვა მაღლივი შენობის ხიმინჯზე: – 1900ტ

მზიდი კონსტრუქციების მასალა – მონოლითური რკინაბეტონი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები შესრულდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად; დამატებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები (ტექნიკური ანგარიში) წარმოდგენილი იქნეს 2 ეგზემპლარად და ასევე ელექტრონულ ვერსიაში 2015 წელს შპს **„ახალი საქქალაქმშენპროექტი„-ს** მიერ ამავე ტერიტორიაზე ჩატარებულ საინჟინრო გეოლოგიურ კვლევის შედეგებთან ერთად.

კონსტრუქტორი თ. მაცაბერიძე

მიწერილობა

ქ. თბილისში, აკადემიქალაქის მიმდებარედ, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089) დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ. 1.19-ის მე-2 შენიშვნის და 1.22 პუნქტის, აგრეთვე პნ 02.01-08-ის (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სპ 24.13330.2011 (სნ და წ 2.02.03-85-ის აქტუალიზებული რედაქცია) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი:

- მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დაზუსტება;
- დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების გარკვევა.

საკვლევი უბნის ფარგლებში, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ 2015 წლის მაისში ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, შპს „იბერკომპანი“-ს დაკვეთის საფუძველზე (დაკვ. №114/2015), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089), რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში და გამოყენებული იქნეს დასკვნის შედგენისას (გაიბურღა 5 ჭაბურღილი – №№ 1–5, სიღრმით – 28,0-35,0 მ ასევე გეოლოგიურ ჭრილებზე გამოყენებულია 1987 წელს ჩატარებული გეოლოგიური კვლევის მასალებიდან ერთი ჭაბურღილი – №6).

უბანი, სადაც განთავსდება დასაპროექტებელი შენობა, გეომორფოლოგიურად მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის II ჭალისზედა – საბურთალოს ტერასის სამხრეთ–აღმოსავლეთ პერიფერიაზე. ტერასა აღმოსავლეთიდან იფარგლება მდინარე მტკვრის კალაპოტისგან გამყოფი, კლდოვანი ვერტიკალური ფლატით.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, დამატებით გაიბურღოს 2 ჭაბურღილი, სიღრმით 35,0-40,0 მ-მდე (ძირითადი ქანის ეროზიული ზედაპირის დაფიქსირებით).

ბურღვა შესრულდეს მექანიკური-სვეტური მეთოდით (საბურღი დაზგა „УРБ–2 А“, d=160 მმ-დე) მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

კვლევითი ჭაბურღილების გაყვანისას, საკონტროლოდ აღებული იქნეს გრუნტის ნიმუშები ფიზიკურ-მექანიკური საკონტროლო კვლევების ჩასატარებლად.

გრუნტის წყლიდან აღებული იქნეს საკონტროლო სინჯები ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად.

ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 2 ეგზემპლარად. შესრულდეს კვლევის მასალების ელექტრონული ვერსია.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონში, აკადემიქალაქის მიმდებარედ, თამარ მეფის გამზირზე (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის

შ ე დ ე გ ე ბ ი

თავი I – შესავალი

შპს „არქი რივერსაიდი“-ის (დირექტორი ირაკლი ქაფიანიძე) დაკვეთის საფუძველზე (დაკვ. №13/2018), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2018 წლის იანვარ-თებერვალში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089), ჩაატარა დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დაზუსტება და დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების პირობების დადგენა.

დასაპროექტებელი ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

უშუალოდ საკვლევი უბნის ფარგლებში, აღნიშნული განყოფილების მიერ 2015 წლის მაისში ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, შპს „იბერკომპანი“-ს დაკვეთის საფუძველზე (დაკვ. №114/2015), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089), რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში და გამოყენებული იქნა დასკვნის შედგენისას (ამ კვლევის დროს გაიბურღა 5 ჭაბურღილი – №№ 1–5, სიღრმით – 28,0-35,0 მ, ასევე გეოლოგიურ ჭრილებზე გამოყენებულია 1987 წელს ჩატარებული გეოლოგიური კვლევის მასალებიდან ერთი ჭაბურღილი – №6). წინა წლებში ჩატარებული გეოლოგიური კვლევისას გაყვანილი ჭაბურღილები ნაჩვენებია პრიმებით.

აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების საფუძველზე და ნორმატიული დოკუმენტების – სნ და წ 1.02.07-87, სპ 24.13330.2011 (სნ და წ 2.02.03-85-ის აქტუალიზებული რეაქცია), პნ 02.01-08, პნ 01.01-09 მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩატარდა უბნის დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე დამატებით გაიბურღა 2 ჭაბურღილი – №6, სიღრმით 36,0 მ, №7 – 42,0 მ მთლიანი მოცულობით 78,0 გრძ. მეტრი.

ბურღვა შესრულდა მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „ УРБ–2 А“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. საბურღი დაზგისთვის მიუდგომლობის გამო, №7 ჭაბურღილი გაიბურღა დანიშნულთან რამდენიმე მეტრის მოშორებით.

უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, საკონტროლო ანალიზებისთვის, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 19 ნიმუში (13 ნიმუში აღებულია თიხოვანი გრუნტებიდან და 6 ნიმუში ძირითადი ქანებიდან) და დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან, ხოლო გრუნტის წყლის საკონტროლო ქიმიური ანალიზებისთვის აღებულია 2 სინჯი.

გრუნტის ნიმუშების და წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ხოლო ძირითადი ქანებისთვის დრეკადობის მოდული განისაზღვრა – სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის კვლევით ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, რომელზედაც დატანილია ჭაბურღილების განლაგება. ძველი და ახალი ტოპოგეგმების რელიეფის ნიშნულები განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამის გამო ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა კორექტირებულია საველე ხელსაჭყო – GPS-ით.

საველე ბურღვითი სამუშაოები ჩატარდა განყოფილების ინჟინერ-გეოლოგ მ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით.

გეოლოგიური კვლევების პარალელურად ჩატარდა უბნის გეოფიზიკური კვლევა (გეოფიზიკური სამუშაოების მოცულობა განისაზღვრა ცალკე, დამატებითი ხელშეკრულებით).

თავი II – საკვლევი უბნის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, მოკლე კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური აგებულება)

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამარ მეფის გამზირზე, აკადემქალაქის სამხრეთიდან მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.089).

სამშენებლო უბანი ისაზღვრება:

– ჩრდილოეთიდან – აკადემქალაქისკენ თამარ მეფის გამზირიდან ამავალი საავტომობილო გზით;
– ჩრდილო-დასავლეთიდან – მათემატიკის ინსტიტუტის შენობის მიმდებარე ტერიტორიით;
– სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან – თამარ მეფის გამზირით;
– დასავლეთიდან – ფოთლოვანი ხეებით და ბუჩქნარით დაფარული ფერდით.

ქ. თბილისისთვის ძირითადი კლიმატური მონაცემები შემდეგია (პნ 01.05-08 – „სამშენებლო კლიმატოლოგია“):

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ W_0=0,85 კპა;
– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;
– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;
– აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 23°C;
– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;
– ნალექების რაოდენობა წელიწადში – 560 მმ;
– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი და საერთოდ აკადემქალაქისა და მისი განაყოფი ცირკის ტერიტორია წარმოადგენს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის II ჭალისზედა – საბურთალოს ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიას. ტერასა აღმოსავლეთიდან იფარგლება მდინარე მტკვრის კალაპოტისგან გამყოფი, მაღალი კლდოვანი ვერტიკალური ფლატით.

უბანზე, წინა წლებში, სხვა დანიშნულების მშენებლობასთან დაკავშირებით, გათხრილი იყო ქვაბული, რომლის შემდეგ მშენებლობა აღარ განხორციელებულა. ამჟამად ქვაბული ამოვსებულია და რელიეფი მოსწორებულ-მოვაკებულია. თამარ მეფის ქუჩისკენ უბნის რელიეფი ეცემა ციცაბოდ და ფერდი დაფარულია ფოთლოვანი და ბუჩქნარი მცენარეულობით.

მიწის ზედაპირის ნიშნულები, გამოყოფილი უბნის ფარგლებში, მერყეობენ 426,0 მ-დან 432,0 მ-მდე.

თავი III – ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III-1 – უბნის გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საველე სამუშაოების და არსებული საარქივო მასალების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი გრაფიკული მასალიდან ჩანს, საკვლევ უბანზე, მიწის ზედაპირიდან 0,50–3,50 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია ტექნოგენური ნაყარი გრუნტი (tQIV), წარმოდგენილი თიხნარის, ღორღის, ხრეშის და იშვიათად სამშენებლო ნაგვის ნარევით (ფენა 1). ნაყარი გრუნტის ქვეშ, 0,50-3,50 მ-ის სიღრმიდან 10,70-19,70 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია ტბიური გენეზისის (ɭQIII) თიხოვანი გრუნტები, რომლებიც წარმოდგენილია ქვიშის, ქვიშნარის, თიხნარის და ხრეშ-კენჭნარის თხელი შუაშრეებიანი, რბილპლასტიკური (ფენა 2ا) და ძნელპლასტიკური (ფენა 2) კონსისტენციების ღია ყავისფერი, მოყვითალო და მოლურჯო თიხა-თიხნარების მორიგეობით (I ტბიური ჰორიზონტი). უნდა აღინიშნოს, რომ ფენები 2 და 2ا ერთი და იგივე გენეზისის და ლითოლოგიური ტიპისაა და გეოლოგიურ ჭრილებზე გამოყოფილია კონსისტენციის მიხედვით (რბილპლასტიკური – ფენა 2ا, ძნელპლასტიკური – ფენა 2). 10,70–19,70 მ-ის სიღრმიდან 23,5–33,4 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია ტბიური ნალექების (ɭQIII) ქვედა ჰორიზონტის ძირითადად ძნელპლასტიკური კონსისტენციის მუქი ლურჯი ფერის თიხები (ფენა 3) – II ტბიური ჰორიზონტი.

ყველა ჭაბურღილში, ფენა 2-ის გრუნტში 4,50–9,20 მ-ის სიღრმიდან 8,50–22,80 მ სიღრმემდე და №6ا ჭაბურღილში ნაყარის შემდეგ, 2,60 მ-დან 3,80 მ სიღრმემდე, გავრცელებულია ასევე ტბიური ნალექები (ɭQIII) წარმოდგენილი მსხვილნატეხოვანი გრუნტით, თიხოვანი გრუნტის არაკანონზომიერი (25-40%) შემავსებელით (ფენა 4).

მსხვილნატეხოვან გრუნტში უპირატესი გავრცელებით სარგებლობს ღორღი, ზოგჯერ დამუშავების კვალით (უხეშად დამუშავებული), თუმცა ალაგ-ალაგ აღინიშნება კარგად დამუშავებული (დამრგვალებული) კენჭების ჩანართებიც. ღორღოვან გრუნტში თიხოვანი შემავსებელის შემცველობა ცვალებადია (არაკანონზომიერია) და ძირითადად 25-40%-ის ფარგლებშია.

ღორღოვან გრუნტში მსხვილი ჩანართები (ღორღი, ხვინჭა, კენჭები) წარმოდგენილია ქვიშაქვის მასალით (უფრო იშვიათად არგილითებითაც).

აღნიშნული მსხვილნატეხოვანი გრუნტი გენეზისის და ლითოლოგიური ნიშნის მიხედვით მიეკუთვნა ტბიურ ნალექებს – მოქცეულია I ტბიური ჰორიზონტის თიხოვან გრუნტს შორის. უბანი ნატბეური დეპრესიის აღმოსავლეთი ნაპირის მახლობლადაა და ტბის ციცაბო დახრის ფსკერის (დახრილობა 40–50°-ია) გავლენის ქვეშაა მოქცეული (წყალქვეშა დელუვია).

ღორღოვანი გრუნტის მაქსიმალური სიმძლავრე აღინიშნა №7 ჭაბურღილში – 13,60 მ.

ტბიური ნალექები, 23,50–33,40 მ-ის სიღრმიდან, შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით – თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით. ეროზიული ზედაპირიდან 30,60–36,70 მ სიღრმემდე (ეროზიული ზედაპირიდან 3,0–3,5 მ-ის ფარგლებში), ძირითადი ქანი გამოფიტულია (ნაპრალიანობა გამოხატულია დაშრევების სიბრტყის თანხვედრილი ნაპრალებით) (ფენა 5), ხოლო შემდეგ ნაკლებად გამოფიტული, დამახასიათებელი მოლურჯო-რუხი შეფერილობით (ფენა 6). ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანში ნაპრალიანობა ძნელად შესამჩნევია, ან გამოხატულია დაშრევების სიბრტყეზე ორიენტირებული ბეწვისებური ნაპრალების სახით. აღინიშნება ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის მკვეთრი დაძირვა სამხრეთ-დასავლეთისკენ.

მასივში ძირითადი ქანების მდგენელი ფენების – არგილითების და ქვიშაქვების შემცველობა, გაყვანილი ღრმა ჭაბურღილების მიხედვით, დაახლოებით თანაბარია (არგილითების ოდნავი სიჭარბით).

მახლობელი გაშიშვლებების მიხედვით ძირითადი ქანების წოლის ელემენტები შემდეგია: დაქანების აზიმუტი ჩდ 335-345°, ფენების დახრის კუთხე 40–45°.

თამარ მეფის გამზირის მხარეს, უბნის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლის სიმაღლე 1,2 მ-ია, სიგანე 0,5 მ. საარქივო მასალების მიხედვით მისი ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან 1,0 მდეა.

III-2 – უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით. ჭაბურღილებში გრუნტის წყლი გამოვლინდა და დამყარდა 2,70-4,60 მ-ზე.

გენეტიკურად წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების შედეგად ინფილტრირებულ წყალს. გრუნტის წყლის კვების დამატებითი წყაროა

კომუნიკაციებიდან განაჟონი წყლები, რომელთა შემოდინება ხდება აკადემქალაქის ტერიტორიიდან.

გრუნტის წყლის აწევის მაქსიმალურ (საპროგნოზო) დონედ მიღებული იქნეს +0,3 მ, დაფიქსირებულ დამყარების დონესთან შედარებით (410.8–424.4 აბს. ნიშნულები).

თავი IV – გრუნტებისა და გრუნტის წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები

IV-1 – გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკვლევ უბანზე, გრუნტებიდან საკონტროლოდ აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილია დაურღვეველი სტრუქტურის 19 ნიმუში (13 – თიხოვანი გრუნტებიდან (ფენები 2, 2| და 3), 6 – ძირითადი ქანებიდან (ფენა 6) და დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 4)). ლაბორატორიაში თიხოვან გრუნტებზე, შესწავლილი იქნა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ფენა 4-ზე განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა, ფენა 6-ზე ლაბორატორიული გამოცდები ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში განისაზღვრა – სიმტკიცის ზღვარი წყალგაჯერებულ მდგომარეობაში (შეესაბამება ბუნებრივ მდგომარეობას), და სიმკვრივე და განყოფილების დაკვეთით, დრეკადობის მოდული განისაზღვრა სსიპ გრ. წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტის, ქანების თვისებების და მასივში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევის განყოფილებაში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით. კვლევის შედეგები წარმოდგენილია დასკვნის დანართში.

თიხოვანი გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტების ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია შესაბამისი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები. აქვე შენიშვნის სახით, უნდა აღინიშნოს რომ თიხოვანი გრუნტების ფიზიკური პარამეტრები ჯდება იმ დიაპაზონში, რომელიც განსაზღვრულია 2015 წელს შესრულებული კვლევებისას.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი		საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა	
					ფენა 2 / ფენა 2|	ფენა 3	ფენა 2 / ფენა 2|	ფენა 3
1	პლასტიკურო-ბის რიცხვი		I_p	–	$\frac{0,14-0,16}{0,15-0,18}$	0,20–0,24	$\frac{0,15}{0,16}$	0,22
2	ტენიანობა		W	%	$\frac{21,9-24,5}{24,8-28,2}$	24,0–29,1	$\frac{23,2}{26,5}$	26,9
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ^3	$\frac{1,87-1,90}{1,88-1,99}$	1,89-1,98	$\frac{1,89}{1,93}$	1,95
		მშრალი გრუნტის	ρ_d		$\frac{1,50-1,56}{1,50-1,58}$	1,50-1,60	$\frac{1,53}{1,52}$	1,54
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		$\frac{2,70}{2,70-2,72}$	2,72	$\frac{2,70}{2,72}$	2,72
4	ფორიანობა		n	%	$\frac{42,3-44,4}{41,4-44,5}$	41,3-45,0	$\frac{43,3}{43,7}$	43,6
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	$\frac{0,732-0,798}{0,705-0,803}$	0,703–0,818	$\frac{0,765}{0,778}$	0,772
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	$\frac{0,28-0,34}{0,50-0,62}$	0,26 – 0,46	$\frac{0,31}{0,55}$	0,35
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	$\frac{0,81-0,83}{0,85-0,98}$	0,87-1,00	$\frac{0,82}{0,92}$	0,95

შენიშვნა: ცხრილში წილადის სახით მოცემულია: მრიცხველში ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხოვანი გრუნტის მნიშვნელობები (ფენა 2), მნიშვნელში - რბილპლასტიკური კონსისტენციის გრუნტის (ფენა 2|).

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული თიხოვანი გრუნტები მიეკუთვნებიან:

– ფენა 2 – ძნელპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,31) თიხნარს ($\overline{I_P}$=0,15);

– ფენა 2| – რბილპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,55) თიხნარს ($\overline{I_P}$=0,16);

თუმცა 5 განსაზღვრიდან 2 შემთხვევაში აღინიშნა თიხაც ($\overline{I_P}$=0,18), აქვე, შენიშვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ I ტბიური ჰორიზონტის თიხოვანი გრუნტი, საველე განსაზღვრით, დახასიათებულია როგორც თიხების, თიხნარების და ქვიშნარების თხელი შრეების ხშირი მორიგეობა. ლაბორატორიულ პირობებში კონსისტენცია ისაზღვრება გრუნტის მოზელილი (შერეული) პასტიდან და ამა თუ იმ შრის სიჭარბისას, მიღებულია გრუნტის ნომენკლატურა. ვინაიდან ტბიურ ნალექებს ახასიათებთ თარაზული დალექვა, მიზანშეწონილია გეოლოგიურ ჭრილებზე დარჩეს დასახელება საველე განსაზღვრის მიხედვით – ტბიური თიხოვანი გრუნტი.

– ფენა 3 – ძნელპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,35) თიხა ($\overline{I_p}$=0,22).

ორივე ჰორიზონტის ტბიური თიხოვანი გრუნტები, ტენიანობის ხარისხის მიხედვით ($\overline{S_r}$ =0,82-0,92-0,95>0,80) სრულად წყალგაჯერებულია.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

ლაბორატორიული კვლევის შემდეგ, მოკლე დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს: I ტბიური ჰორიზონტის თიხოვან გრუნტში, ჭრილის ზედა ნაწილში, აღინიშნება რბილპლასტიკური კონსისტენცია და მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე გენეზისის და ლითოლოგიური ტიპისაა, დაიყოფა 2 საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტად: I სგე – რბილპლასტიკურ კონსისტენციის თიხოვანი გრუნტი, II სგე – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხოვანი გრუნტი, შესაბამისად, გეოლოგიურ ჭრილებზე თიხოვანი გრუნტები გამოყოფილია ცალ-ცალკე ფენებად – ფენა 2| და ფენა 2.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უბანზე აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილია დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან. ლაბორატორიაში განისაზღვრა გრუნტის გრანულომეტრიული შემადგენლობა და შემავსებლის მოკლე ფიზიკური კომპლექსი.

გრანულომეტრიული ანალიზის თანახმად, მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოადგენს ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარის 26,1-35,8%-მდე შემავსებლიან ღორღოვან გრუნტს (ფენა 4).

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, ფენა 6-ის ძირითადი ქანებიდან, საკონტროლო ანალიზებისთვის, აღებული იყო 6 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – 3 არგილითიდან, 3 ქვიშაქვიდან. ლაბორატორიული გამოცდები (სიმტკიცე და დრეადობის მოდული) შესრულდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ლაბორატორიის უფროსის დ. ახობაძის ხელმძღვანელობით და სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების თვისებების და მასივში მიმდინარე პროცესების კვლევით ლაბორატორიაში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ლაბორატორიულ კვლევის მასალები ცხრილების სახით ერთვის დასკვნას), ხოლო მახასიათებლები (სიმტკიცე წყალნაჯერ მდგომარეობაში, სიმკვრივე, დრეკადობის მოდული) მოცემულია ქვემოთ ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2

ლაბ.№№	გრუნტის დასახელება	ჭაბურღილის №№	ალების სიღრმე, მ-ში	სიმკვრივე ρ გ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, Rc მპა	დრეკადობის (იუნგის) მოდული $E_დ$ მპა
1	არგილითი	№6	33,0	2,25	3,8	4038,8
2		№6	35,0	2,29	4,8	4280,3
3		№7	38,0	2,26	4,1	4642,7
საშუალო მნიშვნელობა				2,27	4,2	4320.6
4	ქვიშაქვა	№6	31,0	2,39	18,2	13806,5
5		№7	39,5	2,45	23,3	17600,2
6		№7	41,0	2,40	19,3	18301,4
საშუალო მნიშვნელობა				2,41	20,3	16569,3

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08-ის საკლასიფიკაციო ცხრილის თანახმად (დანართი 1, ცხრ 1), გრუნტები მიეკუთვნებიან:

არგილითი – ნახევრადკლდოვან გრუნტს, სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობით წყალნაჯერ მდგომარეობაში – $\overline{Rc}$=4,2 მპა (42,0 კგძ/სმ²);

სიმკვრივე – $\overline{ρ}$=2,27 გ/სმ³;

დრეკადობის (იუნგის) მოდული $\overline{E}_დ$=4320.6 მპა;

ქვიშაქვა – საშუალო სიმტკიცის კლდოვან გრუნტს, სიმტკიცის ზღვარი წყალნაჯერ მდგომარეობაში – $\overline{Rc}$=20,3 მპა (203 კგძ/სმ²);

სიმკვრივე – ρ=2,41 გ/სმ³;

დრეკადობის (იუნგის) მოდული $\overline{E}_დ$=16569,3 მპა;

ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, მთლიანი მასივისთვის სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობის რეკომენდებისას ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს მასივში არგილითების და ქვიშაქვების თითქმის თანაბარი შემცველობის მიხედვით.

$R_{c,n} = R_{c.არგ.} + R_{c.ქვიშაქ.} = 0,50 \times 42 + 0,5 \times 202 = 21 + 101 = 12200$ კპა (122 კგძ/სმ^2).

ანალოგიური გაანგარიშებით, ძირითადი ქანის მასივისთვის შეიძლება რეკომენდირებულ იქნეს დრეკადობის მოდული: $E_დ$=10444,9 მპა.

IV-2 – გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

გრუნტის წყლის საკონტროლო ქიმიური ანალიზების თანახმად, გამოკვლეული წყალი-გარემო ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

1. პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178–76) გამოყენებისას:

სუსტად აგრესიულია W4-W6-W8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

2. პორტლანდცემენტის კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22% (10178-76 სტანდარტი), წიდაპორტლანდცემენტის და, აგრეთვე, სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W4-W6-W8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

II. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

მიმდინარე და ადრე ჩატარებული კვლევებისას განსაზღვრული გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები იდენტურია და კომპლექსის მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნაში რეკომენდებული ცემენტები.

თავი V. დასკვნა და რეკომენდაციები

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის შესახებ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, ისეთი არახელსაყრელი მოვლენა, როგორიცაა მეწყერი, არ აღინიშნება, მეწყრული უბნის სიახლოვე (უბნის სამხრეთ–დასავლეთიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით ცირკის მოპირდაპირე ფერდზე, თამარ მეფის გამზირის გასწვრივ), არახელსაყრელი ფაქტორია ანალოგიური გრუნტებით აგებული და დამრეც ფერდზე განთავსებული სამშენებლო ტერიტორიისთვის.

   არახელსაყრელი ფაქტორებია, აგრეთვე გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილში რბილპლასტიკური თიხოვანი გრუნტის (სეისმური თვისებების მიხედვით III კატეგორია) არსებობა.

